

**რამდენად ერთვებიან მოქალაქეები თვითმმართველობის მუშაობაში
იმერეთის მუნიციპალიტეტებში**

“საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” დაინტერესდა, თუ როგორ მუშაობს მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში. ამ მიზნით გამოვითხოვეთ 2015-2016 წლების მონაცემები შემდეგ საკითხებზე: დასახლების საერთო კრება, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, თანამდებობის პირთა მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების წარდგენა, მოქალაქეთა საკრებულოს სხომებზე ჩართვის მექანიზმები, საკრებულოს წევრთა შეხვედრები ამომრჩევლებთან. ამჯერად წარმოგიდგენთ იმერეთის შედეგებს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტებზე მომზადებული კვლევა 30 მარტს [გამოვაქვეყნეთ](#), ამჯერად გთავაზობთ იმერეთის მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის ანალიზს.

სამართლებრივი რეგულირება

საქართველოს ორგანული კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის XI-ე თავი მოქალაქეთა მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში და განსაზღვრავს მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებს ეთმობა.

კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობას უფლება აქვს გამართოს **დასახლების საერთო კრება**. დასახლების საერთო კრება არის სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და აღნიშნული მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესებში ქმედით ჩართულობას.

საერთო კრება უფლებამოსილია: განიხილოს შესაბამისი დასახლებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური საკითხები, მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განხორციელებული პროექტები და მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად მოამზადოს შესაბამისი შენიშვნები და წინადადებები; ორგანიზება გაუწიოს შესაბამისი დასახლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში, კერძოდ, დასახლების ტერიტორიის დასუფთავებაში, საქველმოქმედო საქმიანობაში, დასახლების ინფრასტრუქტურის შეკეთებასა და მოწესრიგებაში და სხვა იმ სფეროებში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას, განიხილოს დასახლების ტერიტორიაზე არსებული ქონების მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანის საკითხი, დასახლების საზღვრების დადგენისა და შეცვლის საკითხები და მოამზადოს შესაბამისი წინადადებები; ასევე განიხილოს მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მიერ საერთო კრებაზე ინიცირებული საკითხი; მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის პეტიციის წარდგენის შესახებ; საერთო კრებაზე საკითხის განხილვის შედეგად მიღებული წინადადება, შენიშვნა, დავალება საერთო კრების გადაწყვეტილების სახით ფორმდება საერთო კრების ოქმით.

მოქალაქეთა ჩართულობის ფორმაა **პეტიციაც**. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს და საერთო კრებას აქვს უფლება პეტიციით მიმართოს საკრებულოს. პეტიციის სახით შეიძლება წარდგენილ იქნეს: ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი; მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები; მუნიციპალიტეტისთვის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა.

ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის მიხედვით **სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო** არის მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის/რაიონის გამგებლის სათათბირო ორგანო. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის

წარმომადგენლები. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 წევრით, რომლის შემადგენლობასა და დებულებას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი/რაიონის გამგებელი. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილი არ არის, თუ დარღვეულია ამ პუნქტის მოთხოვნა. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო იკრიბება არანაკლებ 3 თვეში ერთხელ და საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით.

მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ვალდებულია საბჭოსთან განიხილოს:

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოსთვის წარდგენამდე;
- სივრცითი დაგეგმავების დოკუმენტები, მუნიციპალიტეტის გეორგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადები;
- სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები;
- ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები

მერი/გამგებელი წელიწადში ერთხელ უნდა წარსდგეს საბჭოს წინაშე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშით.

ჩართულობის ფორმებია ასევე საკრებულოს წევრთა შეხვედრები ამომრჩეველთან და მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი საკრებულოს წევრებს ავალდებულებს ამომრჩეველთან შეხვედრას წელიწადში ერთხელ მაინც.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მოქალაქეთა ჩართულობის კიდეც ერთ ფორმას ითვალისწინებს: **მოქალაქეთა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებსა და საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობას.** აღნიშნული სხდომები, როგორც წესი, საჯაროა, მასზე დასწრება ნებაყოფლობითია და ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს სხდომას.

წინამდებარე კვლევაში მოქალაქეთა ჩართულობის სწორედ ზემოთაღნიშნულ ფორმებს განვიხილავთ იმერეთის თითოეული მუნიციპალიტეტის მაგალითზე.

ძირითადი მიგნებები

- როგორც მუნიციპალიტეტებიდან მოწოდებული ინფორმაციით დგინდება, დასახლების საერთო კრება არ ჩატარებულა თერჯოლის, ტყიბულის, საჩხერის, სამტრედიის, ზესტაფონისა და ხონის მუნიციპალიტეტებში. ზოგ შემთხვევაში მიზეზი (სამტრედია, ხონი, საჩხერე) მოქალაქეთა გამოუცხადებლობა გახდა, ხოლო იქ, სადაც ჩატარდა, თითქმის ყველა შემთხვევაში ინიციატორი არა მოქალაქეთა ჯგუფი, არამედ მუნიციპალიტეტის გამგებელი იყო.
- იმერეთის მუნიციპალიტეტიდან საკვლევ პერიოდში (2015-2016 წლები) მხოლოდ ხონის მუნიციპალიტეტშია ერთი პეტიცია რეგისტრირებული.
- როგორც მიღებული ინფორმაციით დგინდება, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შექმნილია იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტში, გარდა თერჯოლისა. ტყიბულში, ხარაგაულსა და ვანის მუნიციპალიტეტებში მრჩეველთა საბჭოები შეიქმნა, დებულაბაც განსაზღვრულია, მაგრამ მრჩეველთა საბჭოს სხდომა ამ დრომდე არ ჩატარებულა.
- იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტის საბჭოშია განდერული ბალანსი დაცული, მაგრამ არცერთ მოქმედ საბჭოში არ არის გათვალისწინებული კანონის მოთხოვნა საბჭოს შეკრების პერიოდულობის შესახებ (სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უნდა შეიკრიბოს არანაკლებ 3 თვეში ერთხელ). მაგალითად, ბაღდათის, საჩხერის, ხონის მუნიციპალიტეტებში საბჭო მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა შექმნიდან დღემდე);
- 2015-2016 წლებში საკრებულოს წევრების ამომრჩეველთან შეხვედრები იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტში იმართებოდა. გასვლითი შეხვედრის ფარგლებში ადგენდნენ შესაბამისი ოქმებს, გარდა თერჯოლის, ზესტაფონის, სამტრედიის, ხარაგაულისა და ვანის მუნიციპალიტეტებისა, სადაც შეხვედრის ოქმები გასვლითი შეხვედრების დროს არ შეუდგენიათ. იმერეთის

მუნიციპალიტეტების უმრავლესობამ წარმოგვიდგინა მოსახლეობასთან გასვლითი შეხვედრის ფარგლებში შედგენილი ოქმები, რომლებშიც მეტ-ნაკლებად არის ასახული შეხვედრის თემატიკა და წამოჭრილი პრობლემები.

- იმერეთის მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა გამგეობას ჩაბარებული აქვს ანგარიში მოსახლეობის წინაშე, გარდა ბაღდათის გამგეობისა, სადაც ანგარიშის ჩაბარება ვერ მოხერხდა, რადგან მუნიციპალიტეტის გამგებელს შეჩერებული ჰქონდა უფლებამოსილება. რაც შეეხება საკრებულოებს, თერჯოლის, საჩხერის, ხარაგაულის საკრებულოებს არ ჩაუბარებიათ ანგარიში მოსახლეობის წინაშე. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციას არ გვაწვდის. სხვა მუნიციპალიტეტებში საკრებულოს თავმჯდომარეებისა და წევრების მხრიდან პერიოდულად ხდება ანგარიშების ჩაბარება.

მონაცემები მუნიციპალიტეტების მიხედვით

	ჩატარდა თუ არა დასახლების საერთო კრება	შექმნილია თუ არა მრჩეველთა საბჭო	რამდენჯერ შეიკრიბა მრჩეველთა საბჭო	აბარებს თუ არა გამგებელი/მერი ანგარიშს საზოგადოებას
ქუთაისის მერია	ინფორმაცია არ გვაქვს	შექმნილია	2 - ჯერ	ჩაბარებული აქვს
ზესტაფონის გამგეობა	არ ჩატარებულა	შექმნილია	3 - ჯერ	მხოლოდ 2015 წლის
სამტრედიის გამგეობა	არ ჩატარებულა	შექმნილია	2 - ჯერ	ჩაბარებული აქვს
ვანის გამგეობა	არ ჩატარებულა	შექმნილია	არ შეკრებილა	მხოლოდ 2016 წლის
საჩხერის გამგეობა	არ ჩატარებულა	შექმნილია	1 - ჯერ	ჩაბარებული აქვს
ბაღდათის გამგეობა	არ ჩატარებულა	შექმნილია	1- ჯერ	არ ჩაუბარებია
ხონის გამგეობა	არ ჩატარებულა	შექმნილია	2 -ჯერ	ჩაბარებული აქვს
წყალტუბოს გამგეობა	ერთხელ ჩატარდა	შექმნილია	7 - ჯერ	ჩაბარებული აქვს
ხარაგაულის გამგეობა	ერთხელ ჩატარდა	შექმნილია	არ შეკრებილა	ჩაბარებული აქვს
ჭიათურის გამგეობა	ერთხელ ჩატარდა	შექმნილია	ინფორმაცია არ გვაქვს	ჩაბარებულია 2013-2015 წწ.

ტყიბულის გამგეობა	არ ჩატარებულა	შექმნილია	არ შეკრებილა	ჩაბარებული აქვს
თერჯოლის გამგეობა	არ ჩატარებულა	არ არის შექმნილია	-	ჩაბარებული აქვს

	რეგისტრირებული პეტიციების რაოდენობა	აბარებენ თუ არა ამომრჩევლებს ანგარიშს საკრებულოს წევრები	მართავენ თუ არა გასვლით შეხვედრებს ამომრჩევლებთან საკრებულოს წევრები
ჭუთაისის საკრებულო	არ არის რეგისტრირებ.	ჩაბარებული აქვთ	ინფორმაცია არ გვაქვს
ზესტაფონის საკრებულო	არ არის რეგისტრირებ.	ინფორმაცია არ გვაქვს	ინფორმაცია არ გვაქვს
სამტრედიის საკრებულო	არ არის რეგისტრირებ.	ინფორმაცია არ გვაქვს	მართავდნენ
ვანის საკრებულო	არ არის რეგისტრირებ.	ჩაბარებული აქვთ	მართავდნენ
საჩხერის საკრებულო	არ არის რეგისტრირებ.	არ ჩაუბარებიათ	მართავდნენ
ბაღდათის საკრებულო	არ არის რეგისტრირებ.	ჩააბარა ორმა წევრმა	მართავდნენ
ზონის საკრებულო	1 პეტიცია	ჩაბარებული აქვთ	მართავდნენ
წყალტუბოს საკრებულო	არ არის რეგისტრირებ.	ჩაბარებული აქვთ	მართავდნენ
ხარაგაულის საკრებულო	არ არის რეგისტრირებ.	არ ჩაუბარებიათ	მართავდნენ
ჭიათურის საკრებულო	არ არის რეგისტრირებ.	2015 წლის ანგარიში ვებგვერდზეა	მართავდნენ
ტყიბულის საკრებულო	არ არის რეგისტრირებ.	ჩაბარებული აქვთ	მართავდნენ
თერჯოლის საკრებულო	არ არის რეგისტრირებ.	არ ჩაუბარებიათ	მართავდნენ

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

2015-2016 წლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა. საკრებულოს სხდომებსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე მოქალაქეთა დასწრების მაჩვენებელი ძალიან მცირეა. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, 2015 წელს მხოლოდ ერთმა მოქალაქემ გამოთქვა საკრებულოს სხდომაზე დასწრების სურვილი, რაც დაკმაყოფილდა.

მოსახლეობის წინაშე ანგარიში ჩაბარებული აქვს საკრებულოს ერთ წევრს და საკრებულოს თავმჯდომარეს. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის გამგებელს, მას ანგარიში არ ჩაუბარებია. ამის მიზეზად მუნიციპალიტეტის გამგეობა ასახელებს გამგებლის უფლებამოსილების შეჩერებას (“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ” ბაღდათის მუნიციპალიტეტში განვითარებულ მოვლენებზე [ბლოგი](#) და წერილი გამოაქვეყნა - საქმე ეხებოდა იმ დროს მოქმედი გამგებლის [დაკავებას](#), რის გამოც მუნიციპალიტეტი გამგებლის გარეშე დარჩა, მოგვიანებით კი ჩვენი მიმართვის საფუძველზე საქართველოს პარლამენტმა თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებების პროექტი მოამზადა, რის მიხედვითაც, გამგებლის მოვალეობის შესრულება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს უნდა [დაკისრებოდეს](#), თუმცა ახალი მოწვევის პარლამენტმა წინა მოწვევის დეპუტატების მიერ მომზადებული ცვლილებები ამ დრომდე არ დაუმტკიცებია).

საკრებულოს წევრების შეხვედრები მოქალაქეებთან ყოველთვიურად იმართება. მუნიციპალიტეტმა წარმოგვიდგინა აღნიშნული შეხვედრების ოქმები.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება 11 წევრისგან. შესაბამის ბრძანებაში მითითებულია მხოლოდ წევრების სახელი და გვარი, შესაბამისად, მოკლებული ვართ შესაძლებლობას, ვიცოდეთ, თუ რა სფეროების წარმომადგენლები არიან ისინი. 8

ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2016 წელს საერთო კრება გაიმართა სამ სოფელში. სამივე შემთხვევაში კრება მოწვეულ იქნა გამგებლის ბრძანებებით რეგისტრირებული საინიციატივო ჯგუფების მიერ. კრებებზე რჩეულის არჩევა ვერ მოხერხდა, რადგან მას ესწრებოდა სოფელში რეგისტრირებულ ამომრჩეველთ 5 % ზე ნაკლები.

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

2015-2016 წლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა.

საკრებულოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მოქალაქეთა რეგისტრაცია საკრებულოსა და კომისიების სხდომების დროს არ ხდება წესის არარსებობის გამო, თუმცა მონაწილეთა მოსაზრებები ფიქსირდება სხდომის ოქმებში. აღნიშნული მწირი ინფორმაციით მოკლებული ვართ შესაძლებლობას შევკრიბოთ საკრებულოსა და კომისიების სხდომებში დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებსა და თავმჯდომარეს ანგარიშები ჩაბარებული არ აქვთ. რაც შეეხება გამგეობას, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებელმა წარმოადგინა 2016 წლის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

საკრებულოს წევრების მხრიდან შეხვედრები მოსახლეობასთან ხდება რეგულარულად, თუმცა შეხვედრის ოქმები არ ფორმდება. მოწოდებული ინფორმაციით, დეპუტატები მხოლოდ მოქალაქეთა მიღების აღრიცხვის ჟურნალს აწარმოებენ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობაში არ არის შექმნილი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი არ შეიცავს ნორმებს, რომლებშიც მითითებული იქნება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის კონკრეტული ვადები, ვფიქრობთ, რომ მრჩეველთა საბჭოს არარსებობა კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობაა.

2015 წლიდან დღემდე არ შეკრებილა დასახლების საერთო კრება, რადგან მუნიციპალიტეტის გამგეობის განმარტებით, დღემდე მიმდინარეობს რეგისტრირებულ ამომრჩეველთა სიების ფორმირების პროცესი.

ტყიბულის მუნიციპალიტეტი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2015-2016 წლებში პეტიცია არ დარეგისტრირებულა. რაც შეეხება საკრებულოსა და კომისიის სხდომებში მოქალაქეთა დასწრებას, ამ საკითხზე საკრებულო ზოგად პასუხს გვაწვდის და მიუთითებს, რომ მოქალაქეთა რეგისტრაცია ხდება საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ მოსახლეობას მუნიციპალიტეტში 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 დეკემბრამდე განხორციელებული სამუშაოების შესახებ ანგარიში რვა საჯარო შეხვედრის ფარგლებში ჩააბარა. ტყიბულის საკრებულომ ასევე წარმოგვიდგინა საკრებულოს ცალკეული წევრების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ფორმები და საკრებულოს ფრაქცია “ნაციონალური მოძრაობის” წევრთა ამომრჩეველთან საჯარო შეხვედრის ოქმი. რაც შეეხება გამგეობას, წარმოდგენილია გამგებლის მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში. გამგეობის მიერ მოწოდებულ წერილში აღნიშნულია, რომ 2016 წლის ანგარიში საკრებულოს სხდომაზე უახლოეს პერიოდში იქნება გატანილი.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. საბჭო შედგება 10 წევრისგან, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები არიან. რაც შეეხება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომებს, ის დღემდე არ გამართულა. ასევე, არც დასახლების საერთო კრება ყოფილა მოწვეული.

საჩხერის მუნიციპალიტეტი

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2015-2016 წლებში პეტიცია არ დარეგისტრირებულა. მოქალაქეებს არც საკრებულოსა და კომისიების სხდომებში მიუღიათ მონაწილეობა. მოსახლეობას არც საკრებულოს წევრებისა და თავმჯდომარის მხრიდან ოფიციალური ანგარიში არ ჩაბარებია. საჯარო ინფორმაციის წერილით ირკვევა, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ატარებდნენ გასვლით შეხვედრებს მოქალაქეებთან, რის დასადასტურებლად საკრებულომ გასვლითი შეხვედრების ოქმები გამოგვიგზავნა.

გამგეობამ ჩვენი წერილის საპასუხოდ 2015 და 2016 წლების ანგარიში გამოგვიგზავნა.

გამგეობას დამტკიცებული აქვს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება და შემადგენლობა. საბჭო შედგება 16 წევრისგან. წევრები უმეტესად არიან

ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები, მათ შორის გვხვდებიან ასევე არასამთავრობო ორგანიზაციის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და არასამეწარმეო იურიდიული პირის წარმომადგენლებიც.

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მრჩეველთა საბჭოს სხდომა ჩატარდა ერთხელ, რომელზეც აირჩიეს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი, ასევე განიხილეს საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები.

საჩხერის მუნიციპალიტეტში დამტკიცებულია დასახლების საერთო კრების დებულება. გამგეობა განგვიმარტავს, რომ მიუხედავად მუნიციპალიტეტის არაერთგზისი მცდელობისა, საერთო კრებები არ შედგა, რადგან კრებებზე მოსული მონაწილეთა რაოდენობა ვერ აკმაყოფილებდა კანონით გათვალისწინებულ კვორუმს. ამიტომ მან მოსახლეობასთან მორიგი შეხვედრის, არა კრების ფორმატი მიიღო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 205-2016 წლებში პეტიცია არ რეგისტრირებულა. არც საკრებულოსა და კომისიის სხდომებში მოქალაქეთა რეგისტრაციის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

საკრებულოს წევრების მხრიდან ანგარიშის ჩაბარებაზე საკრებულომ ინფორმაცია არ მოგვაწოდა. საკრებულოს წევრები 2015-2016 წლებში მართავდნენ გასვლით შეხვედრებს მოქალაქეებთან. თუმცა, შეხვედრების დროს შესაბამისი ოქმები არ დგებოდა.

გამგეობამ კი 2015 და 2016 წლების საქმიანობის შესახებ ანგარიშები წარმოგვიდგინა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, დამტკიცებულია მისი შემადგენლობა და დებულება. საბჭო შედგება 14 წევრისგან, მათი უმეტესობა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელია. საბჭოს სხდომა ორჯერ გაიმართა - პირველი 2015 წელს, რომელზეც განიხილეს 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი და მეორე - 2016 წელს, რომელზეც განიხილეს 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი.

2016 წელს გამგეობაში დარეგისტრირდა საინიციატივო ჯგუფის ინიციატივა დასახლების საერთო კრების მოწვევის შესახებ, მაგრამ საერთო კრება არ შედგა მოქალაქეთა გამოუცხადებლობის გამო.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი

2015-2016 წლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა. რაც შეეხება საკრებულოს სხდომებსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე მოქალაქეთა დასწრებას, ამ საკითხვაზე საკრებულომ მკაფიო პასუხი არ გაუცია: მიუთითა, რომ რეგისტრაცია ნებაყოფლობითია და გამოთქმული მოსაზრებები ფიქსირდება ოქმში, თუმცა იყვნენ თუ არა ჩართულები მოქალაქეები საკრებულოს სხდომებში, ამის დადგენა მოწოდებული წერილით ვერ დგინდება.

საკრებულომ არც ის ოქმები გამოგვიგზავნა, რომელიც დაადასტურებდა მოსახლეობისთვის ანგარიშის ჩაბარებას. მსგავსი ვითარებაა მოსახლეობასთან შეხვედრების თვალსაზრისითაც.

რაც შეეხება გამგეობას, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ 2015 წლის მუშაობის ანგარიში წარმოადგინა, 2016 წლის ანალოგიური დოკუმენტი კი ჯერ არ გამოქვეყნებულა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. დამტკიცებულია მისი შემადგენლობა და დებულება. საბჭო შედგება 11 წევრისგან. საბჭოს წევრები არიან იურისტები, ეკონომისტები, ინჟინრები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, აგრონომი, პედაგოგი და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

2015 წელს და 2016 წლებში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო სხდომა 3-ჯერ ჩატარდა. ამ სხდომებზე განიხილეს 2017 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი, აირჩიეს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ასევე მოისმინეს 2015 წლის

პროგრამული ბიუჯეტის ანგარიში და 2015 საბიუჯეტო წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ანგარიში.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრების ჩატარება ვერ მოხერხდა.

ხონის მუნიციპალიტეტი

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დარეგისტრირდა 1 პეტიცია. დარეგისტრირებული ინიციატივა ვერ იქნა დაკმაყოფილებული, ვინაიდან აღნიშნული ინიციატივისთვის ყოველწლიურად მუნიციპალიტეტს უნდა გამოეყო განსაზღვრული თანხა, რაც ბიუჯეტით არ იყო გაწერილი. მუნიციპალიტეტმა პეტიციის ავტორს აცნობა უარის მიზეზი. მუნიციპალიტეტს არ მოწოდებია ინფორმაცია პეტიციის შინაარსზე.

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაციით, საკრებულოს სხდომებსა და საკრებულოს კომისიის სხდომებში მოქალაქეთა დასწრების კუთხით აქტივობა დაბალია. რაც შეეხება საკრებულოს წევრების მხრიდან მოსახლეობისათვის ანგარიშის წარდგენას, საკრებულოს წევრების უმრავლესობამ წარმოადგინა ანგარიში დოკუმენტაციის სახით. ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობამაც წარმოადგინა გამგებლის ანგარიშები.

საკრებულოს წევრები მოსახლეობასთან გასვლით შეხვედრებს მართავენ და შესაბამისი ოქმებიც დგება.

ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილია 20 წევრიანი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო საბჭოს სხდომა 2016 წელს ორჯერ გაიმართა. პირველ შემთხვევაში დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი იყო სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა. მეორე შემთხვევაში სხდომაზე განსახილველ საკითხს წარმოადგენდა ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

რაც შეეხება დასახლების საერთო კრებას, მისი ჩატარება დაგეგმილი იყო რამდენიმე სოფელში, მაგრამ ქვორუმის არქონის გამო არ შედგა.

ჭიათურის მუნიციპალიტეტი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2015-2016 წლებში პეტიცია არ არის რეგისტრირებული. საკრებულოს სხდომებზე მოქალაქეთა დასწრების კუთხით აქტივობა დაბალია.

საკრებულოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საკრებულოს წევრების 2015 წლის ანგარიში განთავსებულია მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, 2016 წლის ანგარიში კი განთავსდება უახლოეს დღეებში. რაც შეეხება გამგეობას, გამგეობამ წარმოგვიდგინა 2013-2015 წლებში გამგებლის მიერ მოქალაქეთა წინაშე წარდგენილი ანგარიში.

საკრებულომ მიგვითითა, რომ საკრებულოს დადგენილების თანახმად, საკრებულოს წევრები ყოველთვიურად ერთხელ მაინც ხვდებიან მოსახლეობას.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ წარმოგვიდგინა გამგებლის ბრძანება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ, ასევე საბჭოს დებულება და ოქმი. საბჭო შედგება 10 წევრისგან. შეიკრიბა თუ არა საბჭო ან რა საკითხები განიხილეს, ამაზე ინფორმაცია მუნიციპალიტეტს არ წარმოუდგენია.

მუნიციპალიტეტში საერთო კრება 2016 წელს მოწვეულ იქნა ორჯერ. პირველად ამომრჩეველთა ინიციატივით. ამ კრებაზე რჩეულის არჩევა ვერ მოხერხდა, მაგრამ განხილულ იქნა სხვა საკითხები. მეორე შემთხვევაში ამომრჩეველთა კანონმდებლობით დადგენილი რაოდენობა არ შეიკრიბა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2015-2016 წლებში პეტიცია არ დარეგისტრირებულა.

საკრებულო მიუთითებს, რომ საკრებულოს სხდომა ღიაა და სხდომაზე დასწრების ფაქტი აისახება სხდომის ოქმში, თუმცა არ განმარტავს რამდენად მაღალია მოქალაქეთა აქტივობა ამ კუთხით.

საკრებულოს წევრთა მხრიდან მოსახლეობისათვის ანგარიშის ჩაბარება 2015-2016 წლებში არ მომხდარა.

საკრებულოს განმარტებით, საკრებულოს წევრები მოქალაქეებთან შეხვედრებს აქტიურად მართავენ, თუმცა საკრებულოს ამ შეხვედრების ოქმები არ წარმოუდგენია.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გამგებლის ბრძანებებით შექმნილია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო და დამტკიცებულია დებულება. საბჭო შედგება 11 წევრისგან: არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსგან, ასევე მეწარმეებისგან. 2015-2016 წლებში მრჩეველთა საბჭო არ შეკრებილა.

მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრება მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა. კრებაზე კრების რჩეული აირჩიეს და ასევე სოფელში ინტერნეტკომუნიკაციის გამართვის საკითხი დააყენეს. შესაბამისი რეკომენდაცია რეაგირებისათვის გამგეობას გაეგზავნა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

2015-2016 წლებში საკრებულოში პეტიცია არ დარეგისტრირებულა. რაც შეეხება საკრებულოს სხდომებზე მოქალაქეთა დასწრებას, საკრებულო მიუთითებს, რომ სხდომები საჯაროა, მოქალაქეთა რეგისტრაცია ხორციელდება და მოსაზრებები შეიტანება სხდომის ოქმში, თუმცა მოწოდებული ინფორმაციით, ვერც დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა დგინდება და ვერც მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები.

წყალტუბოს საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარე და წევრები მოქალაქეებს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშებს ყოველი წლის ოქტომბერში აბარებენ. საკრებულომ წევრების 2016 წლის ანგარიშის ფორმები

წარმოგვიდგინა, გამგეობამ კი გამგებლის 2015-2016 წლების გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშები.

წყალტუბოს საკრებულოს ინფორმაციით, წევრები მოსახლეობასთან შეხვედრებს რეგულარულად მართავენ. ამის დასადასტურებლად უწყებამ შეხვედრის ოქმები გამოგვიგზავნა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება 11 წევრისგან. 2015-2016 წლებში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა სულ 7-ჯერ გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს წარმოადგენდა: საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა, 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის დამატებითი განხილვა, ერთ-ერთი მუნიციპალური ა(ა)იპის 2015 და 2016 წლის პერიოდში გაწეული მუშაობისა და მომავალი ამოცანების, 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და სხვა.

რაც შეეხება საერთო კრებას, იგი მუნიციპალიტეტში ჩატარდა ერთხელ. კრებაზე ნიკოლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის პროექტი განიხილეს.

ვანის მუნიციპალიტეტი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2015-2016 წლებში პეტიცია არ ყოფილა რეგისტრირებული. 2015-2016 წლებში საკრებულოს სხდომებსა და საკრებულოს კომისიების სხდომებში მონაწილე მოქალაქეთა რეგისტრაცია არ განხორციელებულა. თუმცა, საკრებულოს განმარტებით, მოქალაქეთა სხდომებს ესწრებოდნენ და მათი მოსაზრებები შესაბამის ოქმებში აღინიშნა.

საკრებულოს წევრები მოქალაქეებს ანგარიშს პერიოდულად აბარებდნენ. საკრებულომ შესაბამისი ოქმები და ანგარიშის ფორმები წარმოადგინა.

საკრებულოს წევრები სისტემატურად მართავდნენ გასვლით შეხვედრებს მოქალაქეებთან, თუმცა მუნიციპალიტეტის მითითებით, შეხვედრის ოქმები არ შედგენილა.

გამგეობამ გამგებლის 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა. ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის განმარტებით, ვანში ახალი შექმნილია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. შესაბამისად, მისი სხდომა ჯერ არ გამართულა და უახლოეს მომავალში გაიმართება.

რაც შეეხება საერთო კრებებს, მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მოწოდებული ინფორმაციით ისინი ატარებდნენ საერთო კრებებს, წარმოგვიდგენილი ოქმების შესწავლის საფუძვალზე დგინდება რომ ეს არ არის დასახლების საერთო კრება, არამედ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხით დასაფინანსებელი პროექტის პრიორიტეტის შერჩევის მიზნით შემდგარი კრებაა.

ქუთაისის მუნიციპალიტეტი

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2015-2016 წლებში პეტიცია არ ყოფილა რეგისტრირებული. ქალაქ ქუთაისის საკრებულოს რეგლამენტით, ნებისმიერ პირს აქვს უფლება დაესწროს საკრებულოს, საკრებულოს კომისიის, საკრებულოს დროებითი სამუსამუშაო ჯგუფის ღია სხდომებს. სხდომის თავმჯდომარის თანხმობით მათ აქვთ უფლება დასვან შეკითხვები, გააკეთონ განმარტებები, განცხადება ან მიმართვა.

მისასალმებელია, რომ ქუთაისის საკრებულო უზრუნველყოფს სხდომების ტრანსლაციას, რაც საკრებულოს საქმიანობის გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის თვალსაზრისით პოზიტიური პრაქტიკის მაგალითად შეგვიძლია შევაფასოთ.

ასევე, საკრებულომ წევრების მიერ მოსახლეობისათვის ანგარიშის ჩაბარების ფორმები წარმოგვიდგინა, თუმცა ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ წერილში არ არის მოწოდებული ინფორმაცია, საკრებულოს წევრების მოსახლეობასთან გასვლითი შეხვედრების შესახებ, შესაბამისად, ამ ინფორმაციას არ ვფლობთ.

რაც შეეხება ქალაქ ქუთაისის მერიას, მან 2016 წელს, საპარლამენტო არჩევნებამდე გამოსცა გაზეთი “ანგარიში ხალხს” გამოსცა და ამ გზით მიაწოდა ინფორმაცია მოქალაქეებს 2014 - 2015 წლებში განხორციელებული პროექტების შესახებ. ამასთან,

მერიის სხვადასხვა სამსახური ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებისთვის პერიოდულად მართავს ჩატარებული სამუშაოს პრეზენტაციას, თუმცა ანგარიში დოკუმენტის სახით მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე ატვირთული არ არის.

ქალაქ ქუთაისის მერიამ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ მერის ბრძანებები წარმოადგინა. საბჭო შედგება 31 წევრისგან. საბჭოს წევრები არიან მერის მრჩეველები, სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც შექმნის დღიდან მხოლოდ ორჯერ შეირიბნენ. ჩვენი პოზიციით, მერის მრჩეველები აღნიშნულ საბჭოს შემადგენლობაში არ უნდა იყვნენ, რადგან მათი პოზიცია, როგორც მრჩეველებისა, ისედაც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის პირველი პირისთვის გარკვეული კონსულტაციების გაწევას და ამასთან, თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, მრჩეველთა საბჭოში შედიან მეწარმე იურიდიული პირები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. მრჩეველთა საბჭოს ფუნქცია მუნიციპალიტეტის პირველი პირისთვის განსხვავებული მოსაზრებების შეთავაზება და ამიტომ არის აუცილებელი საბჭოში არა მერის, არამედ სხვადასხვა სამოქალაქო ჯგუფის წარმომადგენლის ყოფნა.

რაც შეეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში საერთო კრებების გამართვას, ამაზე მუნიციპალიტეტს ორგანიზაციისთვის არავითარი ინფორმაცია არ მოუწოდებია.

დასკვნა

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” პოზიციით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით ორი პრობლემა დგას: მოქალაქეთა ნაკლები ინფორმირებულობა ჩართულობის ფორმებსა და მექანიზმებზე და თავად აღნიშნული ფორმებისა და მექანიზმების ეფექტიანობა: რამდენად იძლევიან ისინი პრობლემის იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის მყარ გარანტიებს.

ამასთან,

- “საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო” შენიშვნებს გამოთქვამს საერთო კრების ინიცირებისა და მისი უფლებამოსილების საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, კანონმდებლობის თანახმად, საჭიროა ამომრჩეველთა 5%-ის ხელმოწერით დადასტურებული მოთხოვნა კრების მოწვევის თაობაზე; კრება უფლებამოსილია მხოლოდ მაშინ, თუ მას ესწრება ამომრჩეველთა არანაკლებ 20%. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კვორუმი მაღალია. გასათვალისწინებელია მთელი რიგი გარემოებები. კერძოდ, შესაძლებელია ცალკეულ დასახლებებში რეგისტრირებული ამომრჩევლის 20% არ ცხოვრობდეს მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით და მეორე, ასევე გასათვალისწინებელია, რომ მოქალაქეთა მცირე ჯგუფსაც შესაძლებელია ჰქონდეს საერთო კრების მოწვევის სურვილი. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ 5%-იანი და 20%-იანი დათქმა უნდა შემცირდეს. ამ გზით საერთო კრების ინიცირების შესაძლებლობა მიეცემათ მოქალაქეთა მცირე ჯგუფებსაც და კრება უფლებამოსილი იქნება მოქალაქეთა უფრო დაბალი პროცენტის დასწრების შემთხვევაშიც.
- ორგანიზაცია ასევე პრობლემას ხედავს მუნიციპალიტეტისადმი საერთო კრების წინადადებების სარეკომენდაციო ხასიათში. მიგვაჩნია, რომ საერთო კრების მიმართვის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი არასაკმარისი გარანტიაა მოსახლეობის მიერ წამოჭრილი პრობლემის გადასაწყვეტად.
- ჩვენი პოზიციით, პეტიციის უფლების გამოყენებას გარკვეულწილად აფერხებს საკანონმდებლო დათქმა იმის თაობაზე, რომ პეტიციის ინიცირების უფლება აქვთ კონკრეტულ თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული ამომრჩევლების 1 პროცენტს. მუნიციპალიტეტებში მოქალაქეების დიდი რაოდენობის მობილიზება ხშირ შემთხვევაში რთულია. ასევე შესაძლებელია რაიმე სახის საკითხი, რომლის თაობაზეც მზადდება პეტიცია, წარმოადგენდეს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ერთ პროცენტზე მცირე ჯგუფის ინტერესს, შესაბამისად, აუცილებელია პეტიციის წესით საკრებულოს დადგენილების პროექტის ინიცირების შესაძლებლობა მიეცეს ამომრჩეველთა უფრო მცირე ჯგუფებსაც.

- მიგვაჩნია, რომ საკრებულო წევრთა მოსახლეობასთან გასვლითი შეხვედრის ფარგლებში ოქმის შედგენას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, რომ საკრებულოს წევრის წინაშე თვალსაჩინო გახდეს მოსახლეობის მხრიდან წამოჭრილი პრობლემები და მეორე, საკრებულოს წევრის მიერ მოსახლეობის წინაშე ანგარიშის ჩაბარების ეს ფორმა დოკუმენტურად იყოს დაფიქსირებული. სასურველი იქნებოდა ეს ოქმი შინაარსობრივად უფრო დეტალიზებული ყოფილიყო, რათა მეტი წარმოდგენა შეგვქმნოდა შეხვედრის მიმდინარეობის შესახებ. გარდა ამისა, უმეტეს შემთხვევებში, ოქმებს ხელს აწერენ მხოლოდ საკრებულოს წევრები, რომლებიც გასვლით შეხვედრებს მართავენ მოსახლეობასთან. ვფიქრობთ, აუცილებელია ოქმს თან ერთვოდეს დამსწრე მოსახლეობის ხელმოწერებიც, რათა წარმოდგენა შეგვქმნას შეხვედრის მასშტაბის შესახებ, ასევე აღნიშნულით დადასტურდება როგორც შეხვედრის გამართვის, ასევე ოქმში ასახული ინფორმაციის ნამდვილობა.
- სასურველია, საკრებულოს რეგლამენტით დეტალურად დარეგულირდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის ფორმა. უმჯობესი იქნება, თუ ანგარიში მის ოფიციალურ წარდგენამდე წინასწარ გასაჯაროვდება, რათა მოქალაქეებს მიეცეს მისი გაცნობის შესაძლებლობა უშუალოდ მოსმენამდე. ამ გზით ისინი მეტად მომზადებულნი იქნებიან და შესაძლებლობა მიეცემათ წინასწარ ჩამოაყალიბონ კითხვები.
- აუცილებელია, რომ მუნიციპალიტეტის ყველა თანამდებობის პირის ანგარიში განთავსდეს ელექტრონულ რესურსებზე. არსებული მდგომარეობით ყველა მუნიციპალიტეტს არ აქვს შესრულებული აღნიშნული ვალდებულება.